KA030198181222520

№ 01-593 **23 / იანვარი / 2020 წ.**

პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ბატონ გიორგი ჭავჭავაძეს

პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსს, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს ქალბატონ ეკატერინე ადამიას

სოციალური დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსს, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ქალბატონ თეა გვარამაძეს

შრომისა და დასაქმების პოლიტიკისა და კოლექტიური შრომითი დავების სამმართველოს უფროსს, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ქალბატონ ლიკა კლიმიაშვილს

შრომითი მიგრაციის საკითხთა სამმართველოს უფროსს, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ბატონ გიორგი ბუნტურს

დევნილთა და ეკომიგრანტთა პოლიტიკის სამმართველოს უფროსს, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ბატონ დავით კაიკაციშვილს

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ბატონ ბექა ფერაძეს

კოლეგებო,

გიგზავნით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 14 იანვრის №01/1097 წერილს, რომელიც ეხება ევროკავშირის დახმარების ერთიანი ჩარჩო პროგრამის (SSF) 2020 წლის სამოქმედო გეგმის „ასოცირების შეთანხმების განხორციელებისა და მიგრაციის მენეჯმენტის მხარდაჭერა“ კომპონენტის ფარგლებში ევროკავშირის დახმარების ინსტრუმენტების (Twinning, TA) გამოყენების საკითხს.

ასოცირების შეთანხმების განხორციელებისა და მიგრაციის მენეჯმენტის მხარდაჭერის პროგრამა მოთხოვნაზე ორიენტირებული პროგრამაა და მოიცავს შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებს:

- მიგრაციის მართვა;
- ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელება (ამ ეტაპზე, ამ კომპონენტის ფარგლებში ხდება საპროექტო წინადადებების წარდგენა);
- სასამართლო სისტემის რეფორმა;
- ტრანსპორტი/საგზაო უსაფრთხოებ.

გთხოვთ, განიხილოთ თანდართული კორესპონდენცია და დაინტერესების შემთხვევაში, მიმდინარე წლის 15 თებერვლამდე მოგვაწოდოთ საპროექტო წინადადებები/შევსებული განაცხადის ფორმა, ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით.

საპროექტო წინადადებები უნდა აკმაყოფილებდეს ევროკომისიის მიერ დადგენილ მოთხოვნებს:

- საქართველოს მთავრობის სტრატეგიულ დოკუმენტებთან და პრიორიტეტებთან შესაბამისობა;
- ასოცირების შეთანხმებასთან და მასში გათვალისწინებულ ვალდებულებებთან/პრიორიტეტებთან შესაბამისობა (კანონმდებლობის აპროქსიმაცია);
- საპროექტო წინადადებების მკაფიო და არგუმენტირებულად ჩამოყალიბებული მიზნების არსებობა;
- ბენეფიციარი უწყების მიერ პროექტის განხორციელების მზაობა და უნარი.

საპროექტო განაცხადის შემუშავების პროცესში, მნიშვნელოვანია, გამოირიცხოს დუბლირება უწყებაში მიმდინარე/დაგეგმილ ევროკავშირის და სხვა დონორების დახმარების პროექტებთან. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ევროკომისიის მიერ საპროექტო განაცხადის დასაფინანსებლად შერჩევის შემთხვევაში, ხანგრძლივი მოსამზადებელი პროცედურების გამო, უშუალოდ პროექტების განხორციელების დაწყება, სავარაუდოდ 2021 წლის მეორე ნახევრამდე ვერ მოხერხდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, საჭიროებების განსაზღვრის პროცესში აქცენტი გაკეთდეს საშუალოვადიან პერსპექტივაში არსებულ პრიორიტეტებზე.

აქვე წარმოგიდგენთ ინფორმაციას ევროკავშირის დახმარების ინსტრუმენტებთან დაკავშირებით:

ტექნიკური დახმარება ე. წ. TA ითვალისწინებს სახელმწიფო უწყებების ინსტიტუციურ განვითარებას. ტექნიკური დახმარება ევროკავშირის მხრიდან ხორციელდება კონკურსის (ტენდერი) საფუძველზე შერჩეული საკონსულტაციო კომპანიების დაქირავების საშუალებით და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- ადგილობრივი ან ევროპელი ექსპერტების გუნდის გრძელვადიანი დახმარება;
- ექსპერტების მოკლევადიან დახმარება;
- შეფასება, ტრენინგები, სემინარები მიმღებ ქვეყანაში;
- სასწავლო ვიზიტები ევროკავშირის რომელიმე წევრ ქვეყანაში.

საჯარო სამსახურის დაძმობილების პროგრამა (Twinning) არის თანამშრომლობის ინსტრუმენტი მიმღები ქვეყნის სახელმწიფო უწყებასა და მისი ანალოგიური ევროკავშირის ქვეყნის უწყებას შორის და წარმოადგეს გრძელვადიანი პარტნიორული ურთიერთობის განვითარების შესაძლებლობას ევროიკავშირის წევრ ქვეყანასთან.

Twinning-ი მოიაზრებს ევროკავშირის წევრი ქვეყნის ექსპერტულ დახმარებას შესაბამის სფეროებში:

- გრძელვადიანი ექსპერტი - მუდმივი უცხოელი მრჩეველი (12-36 თვე);
- ადგილობრივად მომუშავე მოკლევადიან ექსპერტთა გუნდი;
- ტრენინგები, სემინარები მიმღებ ქვეყანაში;
- პრაქტიკული გამოცდილება ბენეფიციარ ქვეყანაში;
- სასწავლო ვიზიტები ევროკავშირის წევრ ქვეყანაში;
- სტაჟირება ევროკავშირის წევრ ქვეყანაში.

ევროკავშირის დახმარების პროგრამების თაობაზე დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ. გვერდზე link.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თინათინ ხარძიანი